



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

27 ივნისი 2013 წელი

ბრძანება №177

**რუსუდან საბეიშვილის, გენო ბაბილოძის,
და თამარ რუსიეშვილის მივლინების შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39¹-ე მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის: საინფორმაციო ანალიტიკური და კომპიუტერული განყოფილების უფროსი – რუსუდან საბეიშვილი, კომპიუტერული მომსახურების საკითხებში მთავარ სპეციალისტი – გენო ბაბილოძე და მთავარი სპეციალისტი მოქალაქეთა მიღებისა და მომსახურების საკითხებში – თამარ რუსიეშვილი ქალაქ ფოთში „პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფის“ PMCG-ს - მიერ გამართულ ტრენინგში მონაწილეობის მიზნით მიმდინარე წლის 27 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს 1 მუხლში მითითებულ საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე